# საქართველო


მიიღება განცხადებები

1-ლ აპრილიდან:
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 6 მანეთი მე-4-ე გვერდზე—4 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 10 მან.
სამგლოვიარო განცხადება—200 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 250 მან.

1-ლ აპრილიდან გაზეთი ღირს: 6 თვით—900 მან. 3 თვით 450.

კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე — პარასკევი. აპრილის 2 1920 წ. № 71 — ფასი 5 მან.



არტისტულ საზოგადოების თეატრი
დღეს პარასკევს 2 აპრილს
მხოლოდ 2 გასტროლი
და შაბათი 3 აპრილს
თეატრის ელამი ჯიმმი
ყოფ. პეტროგ. „ბი ბა-ბო" „ჯიმმიადა"

1. მოხეტიალე კომედიანტები. 2) საღამო ქართველ ერ . 3) თეთრი ღამით. 4) მეშჩანური პოლკა. 5) საღამოს ზარი. 6) რომელია ოოში? 7) ძველი მოსკოვი. 8) ოთხი პაჟის სერენადა. 9) ქმბათა და ქმბათ. 10) ჭადრაკის მეფე. 11) ს. პეტერბურგი 1-ლი სერია. 12) „ელამი ჯიმმის" სალონის ხორო.

მონაწილეობს „ელამი ჯიმმის" მთელი დასი, რომელთა შორის: რუსეთის სახელმწიფო თეატრის დამსახურებული მსახიობი ნ. ნ. ხოდოტოვი, თ. ნ. კურიხინი, გ. ს. ერმოლოვი, ი. ა ვოლსკი, ე. პ. ნევეროვა, ა. თ. პერფუნცეცი და სხვ.

დასაწყისი 7 ნახ. საათზედ. კონფერანსიე: თ. ნ. კურიხინი.

დირექცია ი. გ. მაჩაბელისა.

ორივე საღამოსთვის ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში 1—2 საათამდის და 6—9 ს. 64 1—1



კინემატოგრაფი

მინიონი 

მარტის 31-დან აპრილის 1, 2 და 3 მდე

პოლონსკი
მხატვრულ დადგმაში
„ადამიანური უფსკრულები"
დრამა 5 ნაწ ლ დ.



ღრმათ მწუხარებაში მყოფნი ილარიონ ივანეს ძე პლატონ და ივანე ილარიონის ძენი რატიანები, ანასტასია ილარიონის ასული და მღ. რაჟდენ სიმონის ძე ჩარკვიშვილები, მარია ილარიონის ასული და აპოლონ კლიმენტის ძე გოგორიშვილები და ნინა ამბაკოს ასული ჩუნიშვილიძე, გაუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 3-ს აპრილს (ძველი სტილით) (ქ. ხონი) სოფელ კონდოეთში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარ მეუღლისა, მეორენის და მესამენის საყვარელ დედისა და მეოთხესი აღმზრდელ ბებიისა.

ვარდო კაციას ასულის
რატიანის
სულის მოსახსენებლათ დასაწყისი წირვის დილის 10 საათზედ.
3039 3—1



ქალთა
სამოსელი
სასწრაფო გამგზავრების გამო დიდი ფას-დაკლებით
იყიდება მოდელები
სასტუმრო „ინტერნაციონალი"
ერევნის მოედნის კუთხე 11—3 და საღ. 5—7. 3010 2 1



სახელმწიფო თეატრი
ევლახიშვილის ხელმძღვანელობით
პარასკევს, აპრილის 2-ს მიშელ დარიალი ნანობაშვილის მე-2 გასტროლი
ჰუგენოტები



ქალთა მე-7-ე წმ. ნინოს გიმნაზიის
სამეურნეო კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ შაბათს, აპრილის 3-ს, ნაშუადღევს 1 საათზე დანიშნულია საჯარო გაყიდვა
ძველი პიანინოსი
გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ. 13). ხელმეორედ გაყიდვა 7 აპრილს, 12 საათზე. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში, იქვე შეიძლება დათვალიერება გასაყიდი პიანინოსი ყოველ დღე 2—3 საათამდე.
2 3006—1



ქიმერიონი
(რუსთაველის პრ., 23,)
ყოველ დღე 1—5 საათამდე.
სადილები
პარასკევს 2 აპრილს 1920 წ.



გრანდიოზული
საღამო
კონფერანსიე ვ. ა. ნეჩაევის პრემიერი „ქიმერიონის". თეატრის.
დიმიტრი ფესენკოს გოშათა გუნდი.
სალონის ცეკვა.
ტრუზი და ველტე
ანონსი: შაბათს აპრილის 3-ს საღამო იუმორისტ ვალერი ბელსკის ახალი პროგრამა. ახალი კუპლეტები.



დღეს
მიხეილის
ალკრე
პლეხანოვის ქ. 91
ჩვენთან ორი პროგრამა ერთად:
ახალი ნომრები
1. „დაცემულს ხელი ჰკარ" დრამა 4 მოქ მედებად.
ა. ვერტინსკის სიმღერების ავტორის მონაწილეობით
2. პარიზიდან ეხლახან მიღებული „ხელის სიმღერა" დრამა 4 მოქმედებად.
ულამაზესი ლ. პუაპკარეს მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში დიდებულ კომპოზიტორ ბეტჰოვენის კვირაა, იკითხეთ აფიშები.



გაიხსნა კავკასიაში პირველი
დაწნული ავეჯის ქარხანა
საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისა.
ვენურ ავეჯეულობის გარდა ქარხანაში მზადდება ავტომობილის რკალები, ფერსოები და სხვა.
მისამართი: ჩერქეზიშვილისა და ანტონოვის ქ. კუთხე № 1. 62 5—1



პირველი ხარისხის რესტორანი
ედემი
გვაქვს პატივი ამით ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ შედგა ამხანაგური არტელი ყოფილი კ. ნ. ბაქრაძის 1 ხარისხოვანი რესტორანი ვერაზე და წლი-ნახევარის დახურვის და დიდი შეკეთების შემდეგ ამ დღეებში ისევ დაიწყებს წარმოებას. ამხანაგების მონდობილობით ბაქრაძე.
30—3044—1



7-ი მარტიდან თბილისში გამოდის ყოველკვირეული გაზეთი
„სასოფლო გაზეთი"
„სასოფლო გაზეთს" აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს" ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ამ ფასში მხოლოდ თიბათვე პირველამდე. რედაქტორი ნიკო კაიშაური 4—3—17





პირველ-ხარისხოვანი
ცირკი „კრისტენს"
ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.
პარასკევს აპრილის 2 ს 1920 წ.
გაიმართება გრანდიოზული საბენეფისო წარმოდგენა. საუკეთესო არტისტიულ ძალთა მონაწილეობით.
დღის უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი უჩვეული მთელ სეზონში
ბენეფისი
ერთად ერთის თავის ჟანრში კონკურენციის გარეშე მდგომის მეპაროდიე—იუმორისტ „თბილელ კინტოს".
გ. მესტ ევის.
დღის ბენეფიციანტი გამოდის 3 ჟანრში: სალონის, ბოსიაკის, კინტოს და იმღერებს ახალ კუპლეტებს, აგრეთვე იტყვის სახუმრო ამბებს. ბოლოს დღესვე შეუძლიან საზოგადოებას ნახოს ძველი კინტოური ქეიფი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი არენის სიამაყე ბენეფიციანტი მესტიევი. დღესვე ბენეფიციანტის საპატივსაცემოდ მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ატრაქციონრები და გამოჩენილი წყვილები ჭიდაობისა.
ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წ. ფალავნის სახელის მოსაპოვებლად, არბიტრი ვალოდია კვიატკოვსკი.
1) გადამწყვეტი ჭიდაობა ერევანში თურქი მდევის მსოფლიო რეკორდსმენის ჰენჯა-ალი—რიშენბაუმის წინააღმდეგ.
2) გადამწყვეტი ჭიდაობა ხტაროშვილის—ზაგორუიკოს წინააღმდეგ.
3) შავი ნიღაბი—ჟან-დე-კოლონის წინააღმდეგ.
დასაწყისი: 8 ნახ. საათზე პარადი 10 ნახ. საათზე.
გამგე: იურიევი.



პირველხარისხოვანი რესტორანი
„მტკვრის-პირას"
ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.
ევროპიული და აზიური კერძები
ადგილობრივი და საზღვარგარეთული სასმელები საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.
შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ ნადიმ-ზეიმისა.
რესტორანთან მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული მყუდრო
სააგახო დარბაზები
რესტორანი ღიაა დღის 10 ს. ღამის 2 საათამდე.
3004 10—2 პატივისცემით დირექცია.


## სომხეთი და აზერბაიჯანი

სომხეთსა და აზერბაიჯანის შორის კონფლიქტმა უკიდურეს სიმწვავემდე მიაღწია. გაზეთების ცნობით ყარაბაღსა და ზანგეზურში სამკვდრო-სასიცოცხლო ომი სწარმოებს, რომელშიაც მონაწილეობენ ერთისა და მეორე მხრითაც რეგულიარული ჯარებიც და თვით ადგილობრივი მცხოვრებნიც. სომხური პრესის ცნობით, ამ ამბებს გამოუწვევია მთელს აზერბაიჯანში დიდი განრისხება სომხებისადმი საზოგადოთ და აქა-იქ ზოგიერთებს კიდეც მიუმართავთ იმ ღონისათვის, რომლისაგანაც უწინაც არ ყოფილა დაზოგილი სომხის ხალხი აზერბაიჯანში: აზერბაიჯანის სხვადასხვა პუნქტებში თათრებს სომხის მოსახლეობა კანონს გარეშე გამოუცხადებიათ და ბევრგან პირდაპირ მუსრს ავლებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. არაფერი ისმის ჯერხნობით სომხეთიდან, მაგრამ საფიქრებელია, რომ არც უკანასკნელი ჩამორჩება აზერბაიჯანს და სამაგიერო რეპრესიებით გაუმასპინძლდება ასევე უდანაშაულო თათრის მოსახლეობას.

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობა შეიქმნება ამ ორ მეზობელ სახელმწიფოში, თუ ამტყდარ უბედურებას თავისუფალი სვლა მიეცა და არავინ ჩაერია იმ უაზრო დაუსრულებელ სისხლის ღვრის შესაჩერებლად.

სომხეთისა და აზერბაიჯანის გამწვავებული ბრძოლა დიდ საფრთხეში აყენებს ამიერ-კავკასიას საერთოდ. მათი წყალობით მთელი ეს მხარე ფრიად ემსგავსება ბალკანეთის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც ამ ნახევარ კუნძულის ესა თუ ის სამეფო ერთი მტკაველი მიწის გულისათვის იარაღს მიჰმართავდა და დაძაბუნებულ ხალხის სისხლით უხვად ჰრწყავდა ქვეყნის მთა-ველს.

ჩვენ ამით იმისი თქმა არ გვინდა, თითქოს დღევანდელ ომს თათრებსა და სომხებს შორის სრულებით არა ჰქონოდეს საბაბი და აზრი. მათ შორის მტრობა დასთესა ამ შემთხვევაში ისეთ დიდმა დავამ, როგორიც არის ყარაბაღ ზანგეზურის მნიშვნელოვანი ტერიტორია.

თავიდანვე ტერიტორიული საკითხი ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის ანორმალურად გადიჭრა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ სამივე რესპუბლიკა დაეპატრონა იმ მიწა-წყალს, სადამდისაც იმ დროს მისწვდებოდა მათი ხელისუფლება და რისი გამაგრებაც შეეძლოთ მაშინდელ შეიარაღებულ ძალების შემწეობით. ზოგი რესპუბლიკა პრეტენზიას აცხადებდა ისეთ ტერიტორიაზედაცკი, რომელთანაც არავითარი სა

# დ ღ ე ს:

ბოლშევიკებმა ქ. კავკავი აიღეს.
საბჭოთა ჯარებმა ქ. პეტროვსკი დაიჭირეს.
თბილისში ჩამოვიდა მიხაკო წერეთელი.

—

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური—სომხეთი და აზერბაიჯანი.
ვ. წერეთელი—მოქალაქეობრივობა და თავისუფლება.
შ. ბერიძე —სატერმინოლოგიო დიქტატურა.
სვ. ყიფიანი—„რუსული ღორის კანონი".

ხელმწიფოებრივ-ისტორიულ-ეკონომიური კავშირიც არ ჰქონია, არასდროს, გარდა ისეთი მომენტისა რომელიც დღევანდელი კულტურის ხანაში სათვალავში ჩასაგდები არ არის... სამწუხაროდ განვლილი დრო შესაფერი პირობებს არც იძლეოდა, რომ საზღვრების საკითხი მისაღებ ფორმაში გადაჭრილიყო და თვითეული ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთაგანი გამოცხადებულიყო პატრონად თავისი ნამდვილი, კანონიერ მემკვიდრეობისა. სხვათა ჩარევამ ხომ სულ არივდარია მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობა. უცხო ხალხმა, ადგილობრივ პირობებთან სრულებით გაუცნობელმა და ბევრს შემთხვევაში ყალბი ინფორმაციით გატყუებულებმა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მთლად დასერეს ეგრეთ წოდებულ „ნეიტრალურ ზონებათ", სადაც მომეტებულ ნაწილად მზადდებოდა უკმაყოფილებისა და უთანხმოების ნიადაგი...

ჩვენ წელიწადნახევრის წინადაც ვწერდით, რომ ამათა მორიგება სხვა თუნდაც პირველხარისხოვან საკითხებში და უაზროა ხელშეკრულების დადება, უკეთუ ყველაზე დიდი და საჭირბოროტო საკითხი გადაუჭრელი დარჩებოდა.

და ასეც მოხდა: მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის არსებობს მრავალი „მეგობრული" ხელშეკრულება—საომო, საფინანსო, სატრანზიტო, საეკონომიო და სხვ., ვინ იტყვის, რომ მათ შორის ნორმალური ურთიერთობაა!? სად არის იმის გარანტია, რომ ყარაბაღისებრი ამბავი სხვაგან არ დატრიალდება, თუ გნებავთ, უფრო მწვავედ და დაუნდობლად?

სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებულ შეტაკებაში დამნაშავე მხარის ძებნაც ზედმეტია! ზანგეზურსა და ყარაბაღში მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო ადრე თუ გვიან და რისგანაც არც ერთი მათი მსგავსი კუთხე არ არის დაზღვეული. დღეს ამ უბედურ მაზრებში იარაღით ლამობენ გადასჭრან ის საკითხი, რომელიც სხვა და სხვა კაბინეტებში ასე იოლად საბოლოოდ გად ჭრილად გამოაცხადეს.

არ დასთმობს არც ერთი მხარე, ვიდრე ის თავის ნაციონალურსა და სახელმწიფოებრივ საწადელს არ მიაღწევს.

აი ამ მიმართულებით უნდა ამუშავდეს დღეს ხალხის კეთილის მსურველი პოლიტიკური და პასუხის მგებელი მოღვაწე.

ყარაბახი და ზანგეზური უფრო რელიეფური მაჩვენებელია იმ ანორმალობისა, რომელშიაც სამივე სახელმწიფო იმყოფება დღიდან მათი განთავისუფლებისა.

ამას ბოლო უნდა მოეღოს! მღელვარე ზღვა ერთხელაც იქნება ჩანთქავს მასზე გაუფრთხილებლად მოცურავ ხომალდს...

# მდგომარეობა გერმანიაში

## ამერიკული პრესა

(საქ. დეპ. სააგ.)

**კაპპის, ტროცკის და ლენინის შეთქმულება**

სამხრეთ გერმანიის გაზეთები სწერენ კაპპის, ტროცკისა და ლენინის შეთქმულების შესახებ იმ მიზნით, რომ გერმანიაში გაევრცელებიათ ბოლშევიზმი და ბერლინში ხელთ ეგდოთ ძალა უფლება. სახელმწიფ. გადატრიალებამდის ერთი კვირით ადრე მოხდა დიდმნიშვნელოვანი კრება, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო სამმა ბოლშევიკმა ოფიცერმა, რომლებიც საგანგებოთ იყვნენ მოსკოვიდან გამოგზავნილი. რუსებმა სთხოვეს კაპპს, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებია ივლისამდის. როდესაც რუსები პოლონელების დამარცხების შემდეგ ბერლინში შევიდოდნენ.

## ფრანგული პრესა

**რურის ოლქის შესახებ**

საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობათა მოლაპარაკების გამო რურის ოლქის შესახებ ჰავასის სააგენტო გაზეთებს შემდეგ ცნობებს აწვდის: გერმანიის საქმეთა რწმუნებული მაიერი სამშაბათს გაემგზავრა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მან მილიერანს გადასცა გერმანიის მთავრობის დეკლარაცია. ამ დეკლარაციას გაუკეთა მან ფორმალური შენიშვნები. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ მიღებული ცნობების თანახმად საეჭვო არის, რომ რურის ოლქის ოკუპაცია ასეთ აუცილებლობას წარმოადგენსო. მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია რურის ხეობის ოკუპაცია და საზავო ხელშეკრულობის 44 მუხლის სათანადო დარღვევა, თუ გერმანიის მთავრობა გარანტიებს მოგვცემსო. „პტი პარიზიენი" არკვევს ამ ნოტას. გერმანიის ახალ კანცლერის გერმან მიულერის განცხადების თანახმად უეცარმა და დიდმნიშვნელოვანმა მოვლენამ ბერლინის მთავრობის მოქმედება რურში შეამსუბუქა:

**ქ. დარმშტადტი, ფრანკფურტი და განაუ.**

საფრანგეთმა უარი განაცხადა დაეჭირს ქალაქები დარმშტადტი, ფრანკფურტი და განაუ. ჩვენის ცნობით საქმე სხვანაირად არის. ოკუპაციის გადადების ინიციატივა, მილერის მიერ ჩამოთვლილ ქალაქების მიმართ, რომელსაც კიდევ უნდა მოვუმატოთ მეოთხე ქალაქი ჰამბურგიც იმ პირობით რომ, თუ განსაზღვრულ დროში გერმანიის მიერ ნეიტრალურ ზონაში შეყვანილი ჯარები არ იქნება გაყვანილი, საფრანგეთი ისარგებლებს თავისი უფლებით და ამ ქალაქებს დაიჭერსო—ეკუთვნის თვით მილერს. მილიერანმა ამ წინადადებაზე უპასუხა, რომ პრინციპიალურად იგი წინააღმდეგი არ არის ვადის გადადებისა, იმ შემთხვევაში, თუ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ეს ყოველ შემთხვევაში არ არის, რაც მილერს სურდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე იყო არა ორსა და სამ კვირაზე, არამედ რაღაც განუსაზღვრელ დროზე, რის გამოც მოლაპარაკებანი შესწყდა.

**ექს—კაიზერი.**

ჰოლანდიაში მყოფ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს წინადადება მისცეს კატეგორიულად განუცხადონ ნიდერლანდიის კაბინეტს, რომ ის პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუ ექს—კაიზერი განაგრძობს ინტრიგებს, ან გერმანიაში გაიქცევა.

**გენ. ნოლლეს მოხსენება გერმანიის საერთო მდგომარეობის შესახებ.**

ელჩთა კონფერენციამ, ბერლინში მყოფ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე გენერალ ნოლლეს მოისმინა გერმანიის საერთო მდგომარეობის შესახებ. შემდეგ კი იხილავდა უნგრეთის დელეგაციის ზავის პირობებზე შენიშვნებს, რომელიც უკვე დასრულებულია. უნგრეთის დელეგაციის წევრთა უმეტესობა უნგრეთში უკვე გაემგზავრა.

**რურის ოლქში.**

საფრანგეთის მთავრობის ცნობის თანახმად რურის ოლქში სრულიადაც არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ იქ ჯარი იყოს შეყვანილი, როგორც ამის განხორციელებას გერმანიის მთავრობა ფიქრობდა. ნამდვილად მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება. ბრძოლა თითქმის ყველგან შესწყდა. ორივე მხრით მოლაპარაკება დასრულდა. მუშათა პარტიის მიერ ბერლინის ულტიმატუმის მიღებით ამგვარ პირობებში შეიარაღებული ძალების შეყვანა მხოლოდ უბედურებას გამოიწვევს. ყოველ შემთხვევაში 1919 წ. 8 აგვისტოს კონვენციას ძალა აქვს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში საზავო ხელშეკრულობის ძალაში შესვლის შემდეგ ე. ი. ვადა 10 აპრილს თავდება. ამ დროსთვის რურის ოლქში შეყვანილი ყველა ჯარი უნდა იქნეს უკან გამოწვეული.

# უცხოეთი

## რ უ ს ე თ ი

(საქ. დეპ სააგ.)

**ბოლშ. სამხედრო ცნობა.**

დასავლეთის ასპარეზი. ოვრუჩ-ლეტიჩევის მხარეში მდგომარეობა არ შეცვლილა. პოდოლიის კამენეცის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა.

**კავკასიის ასპარეზი.**

წითელმა პარტიზანებმა კავკავი აიღეს. 30 მარტს ჩვენმა ჯარმა პეტროვსკი აიღო.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

სერგიოპოლის სანახებში ჩუგუჩაკის აღმოსავლეთით 40 ვერსზე ჩვენმა ჯარმა ადგილები დაიჭირა

## ოსმალეთი

**ოსმალეთის განდევნა ევროპიდან.**

(საქ. დეპ. სააგ.)

კონსტანტინეპოლში ჰფიქრობენ რომ საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის ოსმალეთის ევროპიდან განდევნა ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ევროპის ოსმალეთიდან განდევნა, ერთმა გამოჩენილმა ნეიტრალურმა პირმა შენიშნა დღეს: ქრისტიანული ქვეყნის დიდი ნაწილი, რომელიც ოსმალეთის საქმეებს ვერ იცნობს, ალბათ ფიქრობს, რომ მოწესრიგდება ბალკანეთის მთელი ტერიტორიალი და უზრუნველყოფილი იქნება საყოველთაო ზავი იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი განდევნილი იქნება კონსტანტინეპოლიდან. სურვილი შეიძლება ადვილათ განხორციელდეს, მაგრამ თუ აზიის ოსმალეთი განაწილებული იქნება ბერძნებსა, იტალიელებსა, ფრანგებსა და ინგლისელებს შორის, როგორც ეს საზავო ხელშეკრულობით არის წინდახედული, თურქთა ბალკანიზაცია მოხდება. სტამბოლში დიდი დავა იმის შესახებ გრძელდება, თუ არა დროებითი ზავი, თუ ანტანტის სახელმწიფოები ოსმალეთთან ეხლა საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ანტანტა ხელს უწყობს იმ ფიქციას, რომ იგი არ არსებობს, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ომი უკვე არის, ან და იგი გამოცხადებული იქნება ამ ათ დღეში, რადგან ლონდონიდან მოსული ცნობა ბერძნების მიერ ოსმალთა დამონავებისა ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადებათ ჩაითვლება. თურქები თითქმის ყველგან აღფრთოვანებით შეხვდენ ბერძნებთან ომის შესაძლებლობის შესახებ გაკვრით მოსულ ამბავს, რადგანაც ისინი ეძებენ შემთხვევას, რომ სამაგიერო გადაუხადოს ბერძნებს სმირნაში ოსმალებისადმი ცუდი მოპყრობისათვის.

## სომხეთ-აზერბაიჯანის შეტაკება

**ყარაბაღის ამბები.**

გაზ. „აზერბაიჯანში" დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალი ცნობა: „ასკერანთან ჩვენ ვიმარჯვებთ. სომხების თავდასხმა შუშასა და ხონკენდზე მოგერიებულია ჩვენი ჯარებისაგან.

გამოქცეულთა სიტყვით, შემოტევაზე გადმოსულ სომხთა შეიარაღებულ ძალთა შორის იმყოფებიან სომხის ოფიცრები და ჯარისკაცები.

## შავი ზღვის სანაპიროზე

**შავი ზღვის ნაპირის განმათავისუფლებელ კომიტეტის წარმომადგენლის ოფიციალური ცნობა**

რადგან არსებითად შეიცვალა სტრატეგიული და პოლიტიკური მდგომარეობა შავი ზღვის ნაპირისა, კომიტეტის წარმომადგენელი საჭიროდ სცნობს ნამდვილად გაეცნოს ამიერ კავკასიის დემოკრატიას ის ამბები, რომელნიც წინ უძღოდენ მოპირდაპირის მიერ სოჭის რაიონის დაჭერას და კომიტეტის ტერიტორიის საზღვარზე (გაგრაში) ყუბანის მთავრობის თავმჯდომარის ივანისის ოფიციალურად იქ მყოფობის ფაქტებს.

27 მარტს კომიტეტის წარმომადგენლის ბინაზე მივიდა ყუბანის რადის წევრი კაპლინი და ითხოვა: მიეცათ მისთვის საშუალება ტელეფონით მოელაპარაკნა კომიტეტის წარმომადგენელ ვ. ჩაიკინთან. როდესაც მას ჰკითხეს, თუ რა მიზანი აქვს მის მოსვლას, კაპლინმა უპასუხა, რომ მას დიდად აფიქრებს ტუაპსის ამბები, რადგანაც მას აქვს ცნობები, რომ აქეთ მოიწევენ ყუბანის ჯარის ნაწილები ყუბანის მთავრობის მეთაურობით და, თუმცა მას არა აქვს არავითარი მინდობილობა რადის მხრივ, მაგრამ მას მაინც ჰსურს, თუნდაც ჰუმანიზმის საბაბით, თავიდან აიცილოს ტყუილი და უაზრო სისხლის ღვრა.

კომიტეტის წარმომადგენელმა განუცხადა კაპლინს, რომ იმ მიზეზის გამო, რომელნიც არა ერთხელ გამოქვეყნებულა ოფიციალურად პრესაში, არავითარი ურთიერთობა ყუბანის რადასა და შავიზღვის ნაპირის განმათავისუფლებელ კომიტეტის შორის არ ყოფილა, არც არის და არც იქნება; რომ ერთხელ და უკანასკნელად არის წილი ნაყარი და, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გათავდება ტუაპსის ტრაგედია, კომიტეტის წარმომადგენელს შეუძლიან მხოლოდ ურჩიოს ჯარს, რომელიც მათ ტერიტორიაზეა მოწოლილი, დ ნებდნენ კომიტეტს.

შემდეგ კაპლინმა ითხოვა, ეჩვენებინათ მისთვის გამოსავალი ასეთ მდგომარეობიდან, რაზედაც კომიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა: „თუ საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტრო მიმართავს კომიტეტის წარმომადგენელს ოფიციალურ წინადადებით, რომ იგი თანახმაა უეჭველად შეუშვას თავის ტერიტორიაზე ტუაპსედან უკანასკნელი რადის ჯარი, მაშინ ეს წინადადება ეცნობება დაუყონებლივ წარმომადგენლისაგან სოჭში მტრის ფრონტისთვის გადასაცემად. ამის შემდეგ კაპლინმა მოაგონა ორჯელ, რომ რადასა და დენიკინს შორის განხეთქილება მოხდა, რაზედაც წარმომადგენელმა უპასუხა: „გვიანდა"-ო. ამით გათავდა მათი ლაპარაკი.

თითქმის კაპლინის ჩამოსვლისთანავე ერთ-დროულად შავი ზღვის სანაპიროთა განმანთავისუფლებელ მთავრობამ სოჭიდან მიიღო დეპეშა კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ფილიპპოვსკისაგან, რომელშიც ითვალისწინებოდა რა შავი ზღვის სანაპიროებში გავრცელებულ ხმებს საქართველოს მიერ სოჭის ოლქის მოსალოდნელ ოკუპაციის შესახებ, ითხოვდა საქართველოს მთავრობის მიერ კატეგორიულ დარწმუნებას, რომ უკანასკნელს არავითარი განზრახვა არა აქვს ჩაერიოს შავი ზღვის სანაპიროთა შინაგან საქმეებში. ორივე ეს რწმუნება წარმომადგენლობის კომიტეტისთვის გაეცა საქართველოს საგ. საქ. მინისტრის მიერ და მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მიერ.

მარტის 30-ს სოჭიდან კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მიღებულ დეპეშის გამო, რომ ტუაპსეს სამხრეთით ცხარე ბრძოლებია და რომ სოფ. ლაზარევკა ხელიდან ხელში გადადის წარმომადგენლობამ მოითხოვა ადრე საქ. საგ. მინ. შეთანხმების ძალით პირდაპირი მავთული სოჭში.

თუმცა, საკმარისად გამოურკვეველ მიზეზების გამო, პირდაპირი მავთული ვერ მისცეს წარმომადგენლებს, ვერც დილის 11 ს. ვერც საღ. 6 ს. როცა დიდი მოლაპარაკება იყო გამართული პირდაპირი მავთულით გაგრაში მყოფ ყუბანის მთავრობის თავმჯდომარის ივანისის და თბილისში მყოფ ყუბანის დელეგაციის შორის. და მხოლოდ საღამოს 8 საათ. სასახლის ტელეფონის მოსამსახურემ მიიღო ოფიციალი ცნობა მთავრობის გადასაცემად, რომ სოჭაში პირდაპირი მავთულით ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან ქალაქი ყუბანის ყაზახებმა დაიჭირეს.

იმავე მარტის 30 ს, გაეცნო რა წინადღით საქართველოს მთავრობის ნებართვით ოფიციალურად ყუბანის მთავრობის თავმჯდომარის ივანისის და თავმჯდომარის ამხანაგის ყოფნას გაგრაში, ი. ა. გლატოვმა ორჯელ ინახულა საგ. საქ. სამინისტრო, რათა შეეტყობინებოდა საქ. საგარეო სამინისტროს ამის თაობაზე, რასაც შავი ზღვის სანაპიროს მიერ განცდილ მომენტში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. თუმცა, პაემანი ვერ მოხერხდა საგ. მინისტრის ამხ. ნ. ქარცივაძის იქ არ ყოფნით. („სლ.").

## საქართველოს პარკი საფრანგეთის ბაზარზე

(საქ. დეპ. სააგ.)

**მარსელი.** მარტის 9. 1920 მას შემდეგ, რაც Pessageri „Mariries Maritunes" და „Raquet" საზოგადოებების გემებმა დაიწყეს მისვლა-მოსვლა მარსელსა და ბათუმს შორის, ლიონისა და მარსელის აბრეშუმის მქსოველთა მექარხნეები ელიან საქართველოდან მშრალი პარკის შემოტანას მარსელში.

მარსელის ბირჟაზე უკვე დაიწყეს საქართველოს პარკის კოტიროვკა; თუმცა და ჯერ-ჯერობით ეს კოტიროვკა თითქმის ნომინალურია საქონლის უქონლობის გამო.

დღევანდელ ბირჟაზე საქართველოს მშრალი პარკის ფასმა ყოველივე რეკორდს გადააჭარბა: იძლეოდენ საქართველოს ყვითელ პარკისთვის 88 ფრანკს ერთ კილოსთვის. თეთრი 80 ფრანკს ერთ კილოსთვის.

ბ. დემურია.

## დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგი

### ქ. სოხუმში

სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ ქალაქის არჩევნებში ხმები მიიღეს:

| | |
|---|---|
| № 1 (სოც.-დემ.) | 636 |
| „ 2 (ეროვნ.-დემ.) | [illegible] |
| „ 3 (სოც.-რევ.) | 87 |
| „ 5 (სოც.-ფედ.) | 127 |
| „ 8 (ეროვ. (ვეშაპ.) | 24 |
| „ 16 — | 1 |

**ოჩემჩირეში**

| | | |
|---|---|---|
| № 1 | — | 403 |
| „ 2 | — | 178 |
| „ 3 | — | 59 |
| „ 5 | — | 70 |

სხვა ადგილებიდან ცნობები ჯერ არ მიგვიღია; ჩვენს მიერ ოჩემჩირიდან მიღებული ცნობებით, სოფლად აფხაზებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

# ახალი ამბები

## დამფ. კრებაში

**30,000 0000 მან. სესხი**

დამფ. კრების თვითმართველობის კომისიის დადგენილებით თბ. ქალაქის თვითმართველობას ათი წლის ვადით, მიმდინარე ხარჯების დასაფარავად სესხად მიეცა 30,0000 000 მან.

**ს. ჯაფარიძე.**

იურიდიულ კომისსიის თავმჯდომარედ არჩეულია სერგო ჯაფარიძე, მის ამხანაგად. მ. რუსია-

**უცნაური დანიშვნა.**

საქ. დამფ. კრების წევრი ზორიანი სომხეთის მთავრობამ დანიშნა თავის რწმუნებულად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ხორბლის განაწილების საქმეში. ამას დამფ. კრების სანქცია სჭირდებოდა, რასაც მხარი აქვს აქცეული.

## სხვა და სხვა ამბები

**სურსათის შეძენა.**

მიწ. მოქმედების სამინისტროს მიერ შეძენილია ფოთში 20 ვაგონი სათესი სიმინდი მათ შორის 10 ვაგონი გაიგზავნა ბორჯომს და 10 თბილისში.

**ფქვილი.** ბათომიდან გამოიგზავნა 2 სამარშრუტო მატარებელი ამერიკის ფქვილისა: ერთი აზერბაიჯანის მოსამსახურეთათვის და მეორე სასურსათო სამინისტროსათვის.

**მარილი.** სად. არაქსიდან გამოიგზავნა თბილისს სასურსათო საბჭოს სახელზე 18 ვაგონი მარილი.

**ჟურნალისტების კრება.**

31 მარტს საბჭოს დარბაზში ო. ბუკშტეინის თავმჯდომარეობით შესდგა თბ. ჟურნალისტების კრება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ ჟურნალისტებს გ. თუმანიშვილს, ა. არაკელიანს გ. პავლოვს ვ. ლიმარევს და სხვ. კრებამ მოისმინა დ. დუმბაძის მოხსენება რის შემდეგაც არჩეულ იქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ო. ბუკშტეინი, ლ. ჯაფარიძე, ლ. დუმბაძე, ს. ესაიანი, ლ. კრემერი, ს. კროტოვი, ი. ლვოვი და ე. სულთანოვი. ამ კომიტეტმა 1 თვის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს წესდება და აღნუსხოს ჟურნალისტთა მდგომარეობა. კრების დასასრულ შესდგა პირველი სხდომა საორგანიზაციო კომიტეტისა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ო. ბუკშტეინი მდივნად ს. კროტოვი და მოლარედ არტ. ახნაზაროვი.

**ლტოლვილები.**

ამ დღეებში ფოთის ნავთსადგურში შემოვიდნენ ლტოლვილებით დატვირთული გემები: «ვოზროჟდენიე» და „კიევი". ლტოლვილები ნოვოროსსიისკიდან მოდიან.

**„აშხატავორის" დაკეტვა.**

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზ. „აშხატავორი" დაკეტეს. ამის მაგივრათ გამოვა „ნორ-აშხატავორი".

**საზღვარგარედ გამგზავრება.**

30 მარტს ღამის მატარებლით თბილისიდან პარიზს გაემგზავრნენ ფინ. მინისტრი კ. კანდელაკი და სახ. კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, ეკონომიურ კავშირის დაჭერის მიზნით.

**მ. ყაუხჩიშვილის ევროპაში გამგზავრება.**

მთავრობის საგანგებო დავალებით ამ დღეებში ევროპაში მიემგზავრება ინჟ. მ. ყაუხჩიშვილი.

**შუამდგომლობა.**

განჯისა და კავკავის სომეხი ლტოლვილები შუამდგომლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მათ ნება დართონ საქართველოს ტერიტორიით სომხეთში წასვლისა. მინისტრმა დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა, მხოლოთ მათ ნება არა აქვთ საქართველოს სადგურებზე გაჩერებისა.

**თ. მე 2 ვაჟთა გიმნაზიაში**

კვირას 4 აპრილს მოწაფეთა საბჭოს მიერ გაიმართება დიდი საღამო ცენტრალურ მოწაფეთა კომიტეტის მიერ დაარსებულ „ახალგაზრდათა სახლის" სასარგებლოდ.

**პოლონეთის მისიის ჩამოსვლა თბილისში**

გუშინ თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის დიპლომატიური მისია საქართველოში რწმუნებულის მინისტრის ფილიპპოვიჩის მეთაურობით.

**ახალი საექიმო პუნქტების გახსნა**

დუშეთის სამაზრო ერობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ მცხეთასა და ყაზბეგში საჭიროა გაიხსნას საექიმო პუნქტები.

**გაქცეული ტუსაღები**

ამას წინად ზუგდიდის ციხიდან გაქცეულ ტუსაღთაგანი, რომელთაც მცველებს იარაღი აჰყარეს და გაიქცნენ, ადმინისტრაციამ შეიპყრო. 1 მოჰკლეს, დანარჩენების შესაპყრობად ზომებია მიღებული.

**პალმოვი.**

თბილისის რუსთა კერძო გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა, უნდობლობა გამოუცხადოს ამ გიმნაზიის უფროს პალმოვს. ამის გამო განათლების მინისტრმა დაავალა პირველ ქალთა გიმნაზიის დირექტორს, გამოარკვიოს მიზეზები ამ კონფლიქტისა.

## სამხატვრო ქრონიკა

**ქართულ სამუსიკო საზოგადოებაში**

ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ აღმოუჩინა დახმარება ქუთაისის განყოფილებას 50,000—მან.

**შუამდგომლობა**

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ტრუპამ, რომელიც ამ ჟამად სახელმწიფო თეატრშია გასტროლებზე, შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ამ ტრუპის მსახიობებს დაეთმოთ თბილისში საცხოვრებელი ბინები. რადგანაც ამ ჟამად თბილისში არ მოიპოება თავისუფალი ბინები, ამიტომ სამინისტრო იძულებულია შუამდგომლობაზე უარი უთხრას. ასეთივე შინაარსის შუამდგომლობით მიმართა სამინისტროს საქართველოს მასწავლებელთა კავშირმა რათა ბინები მისცემოდათ თბილისში გორის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მასწავლებლებს.

## საბერძნეთის მისიის ცნობები

**ცნობა გენ. ბრუსილოვზე.**

ლონდონიდან მოსულ ცნობებით პრესაში მოყვანილი ცნობები თითქოს გენ. ბრუსილოვი იდგეს საბჭოთა ლაშქრის სათავეში სიმართლეს არის მოკლებული. ბრუსილოვი მართალია იმყოფება ამ ჟამად მოსკოვს, მაგრამ არავითარი მონაწილეობას არ იღებს საბჭოთა ლაშქრის გამგებლობაში.

**პროტესტი რუს ლტოლვილებზე.**

სამხრეთ რუსეთის ამბების გამო სტამბოლში ამ ბოლო დროს დაწყებულა ლტოლვა დიდძალ რუსობისა. ამის გამო ოსმალეთის მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს მოკავშირეთა წინაშე აღუკრძალონ რუს ლტოლვილთ სტამბოლში გაჩერება, რადგან ქალაქში ისედაც აუტანელი შეიქმნა ცხოვრება სიძვირის გამო. გარდა ამისა საშიშია არ მოედოს ბოლშევიზმი ამ მხარესაც. ანტანტი შეჰპირებია სათანადო ღონისძიების მიღებას. ამბობენ რომ ლტოლვილთ კუნძულ კიპროსზე გაგზავნიან.

**ამერიკის უკმაყოფილება მოკავშირეთა მიმართ.**

ამერიკის სენატის რესპუბლიკანურ წრეებში თავი იჩინა უკმაყოფილებამ დიდ ბრიტანეთის საფრანგეთის და იტალიის მიმართ, რომელნიც ლამობენ პროცენტების გადახდა გააჭიანურონ ამერიკაში აღებულ სესხებზე, მაშინ როდესაც დიდძალ ფულს ხარ-

ჯავენ თავიანთ კომერციის განსავითარებლად.

**ხაზ. მეფე ალექსანდრეს მოგზაურობა.**

მეფე ალექსანდრე დაბრუნდა მოგზაურობიდან მან შემოიარა მაკედონია და ეპირი.

**ჯარის მონაწილეობა პარლამენტის არჩევნებში.**

პალატაში შეტანილია კანონპროექტი რომელიც ანიჭებს ფრონტის სალდათებს უფლებას მიიღონ მონაწილეობა პარლამენტის მომავალ არჩევნებში.

**ძეგლის კურთხევა.**

ათინაში აკურთხეს ძეგლი ცნობილ პოლტიკურ მოღვაწის ტრიკუპისისა.

**დაჯილდოება.**

მეფის უკაზით დაჯილდოებულ იქმნენ დეპუტატი პატრასა და ყოფილი მინისტრი რუფუსი მისი ძმა და გაზეთ „ნეა იმერას“ გამომცემელი, ცნობილი მომხრენი ყოფილი მეფის პოლიტიკისა.

## საქართველოს ნაქსარხოსალ პიტირიმის გარდაცვალება.

ქ. ეკატერინოდარში გარდაიცვალა პეტროგრადის ყოფილი მიტროპოლიტი და საქართველოს ნაექსარხოს ლი არქიეპისკოპოსი პიტირიმი, რომელმაც ერთად ერთმა რუსთა ეგზარხ ების ასი წლის ყოფნაში ერთმა დასტოვა ნათელი ხსოვნა ქართველთა შორის... განსვენებული რევოლიუციის დღეების შემდეგ ცხოვრობდა ბეშტაუს მონასტერში პიატიგორსკის ახლოს და იქიდან დღე-დღეზე საქართველოში გამოგზავრებას აპირებდა.

ამას წინად მან მიიღო ნებართვა საქართველოში შემოსვლისა, მაგრამ გზაზედ გაძარცვეს, შემდეგ კი შავი სახადით ავად გახდა. განსვენებულის სურვილი იყო „დაეკრძალათ წმ. მოწამეთა სისხლით მორწყულ საქართველოში“ რომელსაც ასე პატივითა და სიყვარულით იხსენიებდა.

## ერობა

**თბილისის სამაზრო ერობაში.**

თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ განიხილა მანგლისის ფოსტატელეგრაფის უფროსის შუამდგომლობა ადგილობრივ ფოსტის მოსამსახურეთათვის სათანადო ხორბლის გადაცემის შესახებ და დაადგინა: ერთი ნახევარი სალალო ხორბლეულობის გადაეცეს მოსამსახურეთ, ხოლო მეორე ნახევარი კი ერთ-ერთ დამშეულ სოფელს. ხორბალი შეფასებული იქნება ფუთი 500 მანეთად.

— სოფ. ს ლარიშენის (ასურეთი) რწმუნებულებმა პლ. ხუროშვილმა და ბაიდარაშვილმა თხოვნით მიმართეს ერობის გამგეობას აღნიშნულ სოფლის უკიდურეს გაჭირვების გამო დახმარების შესახებ. ერობამ დაადგინა მიეცეს სალირაშენის მცხოვრებთ 14 კომლს, თანახმად მათი რწმუნებულის თხოვნისა და წარდგენილ საბუთებისა ასი ფუთი ხორბალი ნაღდ ფულზე.

— თბილისის სამაზრო ერობამ შემდეგი ნიხრი დააწესა სამეურნეო იარაღების მქირავებელთათვის: გუთანი 50 მან. დღეში, ფარცხი 20 მან., სათესლე მანქანა 50 მან., სანიავებელი 50 მან., სათიბი 300 მან., სამკალი 300 მან, და ვერმორელი 20 მან.

— ერობამ დაადგინა: სამინისტროდან მიღებულ ინვენტარიდან მაზრისათვის შეძენილ იქნას აგრონომიულ განყოფილების საჭიროებისათვის 15 გუთანი და ერთი სათიბი, მანქანა, თავისი ფიცხით, რომელთა ღირებულება გადიწეროს აღნიშნულ განყოფილების კრედიტებში.

— გაიცეს ცირკულიარული განკარგულება რათა მთელ მაზრაში მიღებულ იქნას ზომები მეწისქვილეთაგან ფქვილის ჩამოსართმევად—მაზრაში მყოფ მოსამსახურეთათვის შემდეგ ფასებში: პური 400 მან., ქერი 280 მან. და სიმინდი 250 მან.

— მოწვეულ იქნას ყარაიაზის რაიონის მილიციის უფროსად პროკოფი გოცირიძე.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროდან გადმოსულ სამიჯნო განყოფილების უფლებრივ და ნივთიერ მდგომარეობის შესახებ ერობის გამგეობამ დაადგინა: ა) ეთხოვოს აგრარულ განყოფილებას აუცილებლად გამოარკვიოს ვისთანაც ჯერ არის სამიჯნო განყოფილების და ერობის ურთიერთი დამოკიდებულებანი მომავალში. ამ განყოფილების უფლებრივი მხარე და მისი მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხი; ბ) ამ საკითხთა გამოკვლევამდე ჯამაგირები და ყოველგვარი ავანსები ეძლიოთ იმ კრედიტების ფარგლებში, რომლებიც იქნება და არის გახსნილი ერობის განკარგულებაში სამინისტროსაგან

— გარე უზნის თემის წარმომადგენლის განცხადება დახმარების შესახებ განიხილა გამგეობამ და დაადგინა: მიეცეს გარე უზნის თემის გამგეობას დამშეულ სოფელთათვის დასახმარებლად 200 ფუთი ხორბალი ფუთი 500 მან.

გარდა ამისა გარე უზნის თემი ჩაირიცხოს პირველ რიგში იმ დახმარების გაცემის დროს, რომელსაც გასწევს მაზრის ერობა მთავრობისაგან მიღებულ სესხიდან.

შესდგეს კომისია მაზრის ერობის გამგეობისა და გარე უზნის თემის წარმომადგენელთაგან აღნიშნულ თემის დამშეულ სოფლების მცხოვრებთა მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად. ერობის მხრივ ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს ეთხოვა გამგეობას წევს ბ-ნ ლომიძეს.

— აღბულაღის თემის თავმჯდომარემ ბ. მ. ტაბუკაშვილმა მოახსენა თბ. ერობის გამგეობას, რომ სოფლებს: ვაკე, ქსოვრეთი, ამრამეთი, ბუჟუღლეთი, აგრითი ქალა, ტბისი, გოლთეთი და ჩხვიკვთა მოითხოვენ შეერთებას აღბულახის სათემოსთან. გამგეობამ დაადგინა: შეკითხულ იქმნან აქ ჩამოთვლილ სოფლების შუამდგომლობა მათი აღბულახის თემთან შეერთების შესახებ, მანგლისის და ასურეთის თემები. ამ უკანასკნელთაგან აზრის გამოთქმის შემდეგ საკითხი დაისვას მაზრის ერობის გამგეობის სხდომაზე განსახილველად.

— გამგეობამ დაადგინა: გარდა ჩვეულებრივ მორიგ სხდომებისა, რომელიც იმართება ორშაბათობით და პარასკეობით იმართებოდეს სხდომები ოთხშაბათობითაც დილის 9 საათიდან შაბათის სხდომის მ გიერ.

— იკრის თემის გერმანულ ახალშენის მცხოვრებთა შუამდგი მლოპის შესახებ, რომლებიც მოითხოვენ გაერთიანებას ერთ ახალშენის სახით— მარიენფელდის სახელ-წოდებით გამგეობამ დაადგინა: შეკითხულ იქმნას იკრის თემი და მოეთხოვოს მას ზოგიერთი საჭირო ცნობები.

## რუსეთ-პოლონეთის ზავისთვის.

**საზოგადოებრივი აზრი პოლონეთში.**

ვარშავიდან პარიზს დაბრუნებული პოლონეთის დელეგაციის მთავარი მდივანი ბ. სტ. კოზიცკი გაზ. „ტანი“-ის თანამშრომელ შემდეგს გადასცემს:

„ვარშავაში მე ხანგრძლივ ვესაუბრე როგორც მთავრობის წარმომადგენლებს, ისე სეიმის ფრაქციების სხვა და სხვა წევრებს.

საერთო თვალსაზრისი ასეთია, რომ უპირველესად ჯერ საჭიროა დამოუკიდებელ პოლონეთის გამართვა. 150 წლის განმავლობაში ის იყო უცხოთა კირთების ქვეშ; ახლა უნდა ისევ აღორძინდეს ადმინისტრაცია, ფინანსები, განათლება, დიპლომატია, არმია. ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ გასაკეთებელი, ჯერ კიდევ ბევრია. ამისთვის საჭიროა ზავი, რაზედაც ყველა თანახმაა. არავინ არ ფიქრობს, რომ ეს მხარე ავანტურისტულ ცეცხლში გახვიოს და ყველა სიამოვნებით შეეგებებოდა აღმოსავლეთის საზღვრების დაწესებას და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებების დამყარებას რუსეთთან მაგრამ პოლონეთში არავის არ სურს ბრესტ-ლიტოვის გამეორება.

ის, რასაც ითხოვს პოლონეთი, ეს არის საზოგადო ან ხანგრძლივი ზავი რუსეთთან, და არ დროებითი შეთანხმება, ამა თუ იმ რუსულ პოლიტიკურ ფრაქციასთან. საჭიროა აგრეთვე გარანტიაც, რათა ერთხელ შეკრული ზავი იქმნეს მიღებული რუსეთის მიერ ყველა დეტალებში.

პოლონეთისთვის საჭიროა ზავი, რომელიც დაივიწყებს მას წარსულ შუღლს რუსეთთან, ხოლო უმთავრესად, გაყოფის ბოროტმოქმედება და ნორმალურ საფუძვლის დამყარება ამ ორ ერთა ურთიერთობის დასამყარებლად.

პოლონეთს, როგორც ანტანტის მოკავშირეს, არ ეჩქარება ზავი ისეთ მთავრობასთან, რომელსაც მხოლოდ რუსეთის ერის ნაწილი ემხრობა.

პოლონეთის მთავრობა ესწრაფვის თავის ქვეყანას მისცეს ჭეშმარიტი ზავი, რომელიც იქნება მოწონებული ანტანტის მიერ და დადასტურებული რუსეთის ხალხისგან.

**პოლონეთის საზავო პირობები.**

თებერვლის 24-ს სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში განხილულ იქმნა პროექტი ნოტის, რომელიც ანტანტისთან წარდგენის შემდეგ უნდა გაეგზავნათ საბჭოთა მთავრობისთვის.

ნოტა შესდგება ხუთი შემდეგი მუხლიდან:

1) პოლონეთი წინადადებას აძლევს რუსეთს უარი სთქვას იმ მამულებზე, რომელნიც მდებარეობენ 1772 წლის საზღვრების დასავლეთით, რათა ამ ადგილებში მოსახლეთ შეეძლოთ თავის მომავლის წარმართვა.

2) რუსეთი აღიარებს ბალტიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და ხელს არ უშლის მათ პოლონეთთან ყოველნაირ ხელშეკრულობათა დადებას.

3) პოლონეთი ისევ დაინტერესებული რჩება უკრაინით და ესწრაფვის, რათა იქ იქმნეს დამყარებული ძლიერი ეროვნული მთავრობა, აღიარებული ანტანტის მიერ.

4) პოლონეთი მოითხოვს ბოლშევიკებისგან საკმაო გარანტიებს კომუნისტურ პროპაგანდისაგან პოლონეთის ტერიტორიის დასაცავად.

5) ბოლოს პოლონეთი მოითხოვს რუსეთისგან, რუსეთის ჯარის მიერ პოლონეთში ჩადენილ ზარალის ან ზ ღაურებას, ისევე, როგორც საბჭოთა ჯარების მიერ პოლონელ მოქალაქეთა ზარალის გასწორებას.

## მუნიციპალური ცხოვრება

**თბილისის ქალაქის მეურნეობა ლომბარდი.**

ქალაქის საბჭომ მარტის 29-ის სხდომაზე გადასწყვიტა მთავრობას 2 მილიონი მანეთის სესხი სთხოვოს ქალაქის ლომბარდის საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად.

ქალაქის ლომბარდის საბრუნავ თანხის გაძლიერების საჭიროება ხმოსნებმა ერთხმად აღიარეს. სხდომაზე აღნიშნულ იქმნა ისიც, რომ ასეთი ნაბიჯი უფრო ადრევე უნდა გადაედგა და ხმ. კ. აბხაზი მოითხოვდა ზემოხსენებულ მიზნით მეტი თანხის აღებას.

ხსენებული სესხი არსებითად განირჩევა თავისი დანიშნულებით ყველა, რევოლუციის შემდეგ აღებულ სესხების და შემოსულ გადასახადთათვის მიცემულ დ ნიშნულებისაგან.

თუ ყველა, აღნიშნულ ხანაში აღებული სესხები მიეციოდა ქალაქის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, ახალი სესხი მიმართულია ქალაქის ერთი შემოსავლიან წარმოებათაგანის—ლომბარდის სარგებლიანობის ასაწევად.

თავისი 32 წლის არსებობის განმავლობაში ლომბარდს 1919 წ. პირველად ჰქონდა დეფიციტი, 73,064 მან. (შემოსავალი 384,863 მან. გასავალი—457,927 მან).

გარდა ზოგიერთ შემთხვევითი და ეფიქროთ წარმავალ არა ნორმალურ და, იმედია, წარმავალ გარემოებათა, რომელთაც ლომბარდის მუშაობაში იყო წარსულ წელს, დეფიციტი უმთავრესად გამოიწვია იმან, რომ საერთოდ, ხარჯები საზღაპროდ გაიზარდა ხოლო საბრუნავი თანხა კი საკმარისი არ არ აღმოჩნდა.

ქალაქის საბრუნავ თანხებს შეადგენს: 1) ძირითადი საბრუნი თანხა—413,863 მან. 2) სამობილიზაციო—86,300. 3) გარდამავალი ჯამი პასივით—100.166 მან. 4) აუქციონიდან ზედმეტი შემოსული ფული—81.885 მ. და 5) ერთ-ერთ კერძო ბანკიდან აღებული სესხი—911,092 **სულ 1,598.406 მანეთი.**

წარსული წლის დეფიციტი ამ თანხას უფრო ამცირებს, ხოლო დამგირავებელთა რიცხვი კი საგრძნობლად გადიდდა საერთო სიძვირისა გაჭირვებისა და მეორეს მხრით ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის გაზრდის გამო.

ამიტომ ლომბარდი მოკლებულია საშუალებას დააკმაყოფილოს გაჭირვებული მოქალაქენი როგორც რიცხობრივ, ისე გირაოს ფასის შესაფერ რაოდენობის მხრით, ხოლო ასეთ მდგომარეობაში ქალაქის ლომბარდი სრულიად კარგავს თავის მნიშვნელობას: კლიენტურის შემცირების გამო იგი შემოსავლიანის მაგიერ საზარალო წარმოებად ხდება თვითმართველობისთვის და მეორეს მხრით კი დიდ ზიანს აყენებს გაჭირვებულ მოქალაქეთ:

ნივთიერ ხელმოკლეობის გამო დამგირავებლებს ქალაქის ლომბარდი აძლევს ერთ მესამედს და ერთ მეხუთედ იმისას, რის მიცემაც შეიძლება დაგირავებულ ნივთში; ასეთი ცირიდი საგირავნო ფული გაჭირვებულ დამგირავებლის ვერ აკმაყოფილებს, ხოლო თბილისში არსებული კერძო ლომბარდები ან ანალოგიური დაწესებულებანი აძლევენ გაცილებით მეტს, მაგრამ ბანკის ჩეკით, რომლითაც დამგირავებლებს ბანკიდან ფულის მიღება შეუძლიანთ მხოლოდ ნაწილ ნაწილად.

ამიტომ დამგირავებელი იძულებული ხდება გაჭირვების თავიდან ასაცილებლად დასაგირავად განზრახული ნივთი ბაზარზე გაყიდოს.

ასეთი გაყიდვა საზიანო ხდება რესპუბლიკისთვის, ვინაიდგან ზემოხსენებულ შემთხვევებში მოქალაქენი ყიდიან სამუშაო იარაღს, რომლის ხელმეორედ შეძენა შემდეგ ძნელი ხდება და რომელიც, როგორც ეს შემჩნეულია, გადის უცხოეთში. ასეთივე ბედი ეწევა ხოლმე იმ ძვირფას ნივთებს, და განძეულობას, რომელნიც ხშირად ისტორიული მნიშვნელობისაა, რომელსაც აგრეთვე გაჭირვებული მოქალაქენი ყიდიან ხოლმე, ვინაიდან მათი დაგირავება ხელსაყრელი არაა.

ასეთია ქალაქის ლომბარდის მოქმედების შესუსტების შედეგები, ხოლო თუ მას მიეცა საჭირო რაოდენობის საბრუნი თანხა, იგი კვლავ გადაიქცევა შემოსავლის წყაროდ, ხოლო ეს კი იქნება პირველი ნაბიჯი ქალაქის კასის შევსების ახალ სისტემისაკენ გადადგმული, სახელდობრ: არა გაუთავებელ სესხებით და გადიდებულ გადასახადებით და ტარიფებით შევსება მისი, არამედ წარმოებათა გაუმჯობესებით და მათი შემოსავლიანობის ასაწევად, რისთვისაც, სხვათა შორის, თბილისის თვითმართველობა იმუშავებს რამდენიმე პროექტს.

დღიდან დაარსებისა, 1887 წლის მარტის 1-დან 1919 წ. იანვრის 1-მდე ლომბარდი ქალაქის ყველა სხვა წარმოებაზე შემოსავლიანი იყო. ამ ხანში მისი წმიდა მოგება უდრიდა 465,147 მანეთს.

ქალაქის ლომბარდს 32 წლის განმავლობაში აუღია შემდეგი ვალები 1) 1887 წ.—89,072 მან., 2) 1899 წ.—200,000 მან., და 3) თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან—911,092 მან. აქედან პირველი ვალი გადახდილია, მეორედან დარჩა 86,300 მან., რომელსაც ლომბარდი თავის წმიდა მოგებიდან ჰფარავს, ხოლო რაც შეეხება მესამეს, იგი რაც შეიძლება მალე უნდა იქმნას გადახდილი, ვინაიდან ლომბარდი წლიურად ამ ვალში 81,000 მან. იხდის პროცენტების სახით, 9 პროც.-ის ანგარიშით. თუ ეს ვალი არ გასტუმრეს, ცხადია, ეს პროცენტები საგრძნობლად შეამცირებს ლომბარდის შემოსავალს და გაზრდის დეფიციტს, რომელიც მიმდინარე 1920 წელს 200,000 მანეთამდე ავა, თუ ეხლავე არ იქმნა მიღებული ზომები ლომბარდის საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად.

## სტერმინოლოგიო დიქტატურა

ჩვენმა „ბიბლიოგრაფიულმა ეტიუდებმა“ გამოიწვიეს გამოხმაურება საქ. სატეხნიკო საზოგადოების სატერმინოლოგიო სექციის ერთ—ერთ წევრისა („საქართვ.“, №№ 58, 60). წერილის ავტორი ვერ იჩენს სრულ მიუდგომელობას და საკმარის სიმშვიდეს, რამაც ჩაუსახა, ალბად, წარმოდგენა იმისა, რომ მე ის წიგნი, რომელსაც 4 წერილი უძღვენი და რომლის „შესავლიდან“ არა ერთი და ორი ამონაწერი მოვიყვანე, რომლის დედა-აზრს დაწვრილებით შევეხე,—თითქოს არც კი წამეკითხოს... ხოლო „ერთობის“ რეცენზია, ჯერ კიდევ 6 თებერვალს დაბეჭდილი, შედეგი წიგნის უბრალო გადაფურცვლისა, დასახულია სანიმუშოდ... რეცენზია—დაფასებაა წიგნისა, აღნუსხვაა მისი დადებითი—უარყოფითი მხარეებისა და თუ იმ რეცენზიამ, როგორც არა ასეთმა, ვერ დააკმაყოფილა დაინტერესებული მკითხველი, ნუ თუ ამისთვის ღირსია იგი რისხვისა.

რამ აღჭურვა ჩვენი „ეტიუდები“—„დაკვირვებით, მეცნიერული კვლევის სიყვარულით და ცოცხალი ინტერესით“, თუ არ წიგნისადმი ყურადღებამ და მისი პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე გადაკითხვამ? ჩვენი ობიექტივობის დამამტკიცებელია მე-III და მე-IV წერ. (№№ 53, 55), თქვენ კი თითქოს ბრძანებთ, წერილების კილოს თუ მივენდვეთ: „გაჩუმდითო“!.. და თუ გავჩუმდით ან „ერთობის“ გეგმით რეცენზია ავაშენეთ, მაშინ რა

## მოქალაქეობრიობა და თავისუფლება

ერთს მუშას ვკითხე: გაიგე თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის ამბავი თქო?—არ გამიგია და არც ვიცი, რა არის დამოუკიდებლობაო, მომიგო.

ერთს ჩემს თანამგზავრს—სოფლის მუშას—დიდხანს ვესაუბრე რევოლიუციის მიერ მონაპოვარ უფლებათა შესახებ, მაგრამ ვერა გაიგო-რა და ბოლოს მითხრა: არ მომწონს, ასე უპატრონოთ რომ ვართ: ბატონი და პატრონი უთუოდ უნდა გვყავდესო.

ზოგიერთი ჩემი ნაცნობი ისე შეწუხებულია ქირნახულის სიძვირით, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა დიდად არაფრად მიაჩნია.

და ბევრი ამბობს: რისთვის გვინდა პოლიტიკური დამოუკიდებლობაო როცა მჭადი არა გვაქვსო.

ერთს საარჩევნო კამპანიაში ერთ სოფელში ბევრი მომხრე მყავდა, მაგრამ გაბატონებული პარტიის წინააღმდეგ ხმა ვერავის მივაცემინე. ყუთთან არ გამოცხადდნენ.

და ხმის მიუცემლობის მიზეზი კი შიში იყო. ეშინოდათ, ვაი თუ ერთის ან ორი კვირით ციხეში ჩაგვსვანო.

ამგვარად თავისი საჯარო, მოქალაქობრივი უფლება ორი კვირით ციხეში ჩაჯდომის ფასადაც კი ვერ უყიდიათ.

რასაკვირველია, იქ სადაც მოქალაქობრივ თავისუფლებას ღირებულება აქვს, მოქალაქე თავისი უფლების დასაცავად თავსაც კი სწირავს სხვერპლად, არა თუ ასეთს მცირე შეწუხებას ერიდება.

დიახ! ჩვენში ჯერ ცოტაა ნამდვილი მოქალაქე და ბევრია მეწვრილმანე. ვაჭრის, ხელოსნის, მიწის მუშის, ხელისუფლის, მეცნიერის—თვითეულის მოქმედება მისის ვიწრო სარბიელის ფარგალს არა სცილდება.

ამას—მეწვრილმანური კარჩაკეტილობა ეწოდება.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში მოქალაქობრივი თავისუფლება ჯერ აგრე ადრე როდი განხორციელდება თვითეული ამბობს: რას დავეძებ საზოგადო საქმეს?!

ჩემ საკუთარ საქმეს გამოვეწყო. საერთო საქმისთვის კი, დეე, სხვებმა იფიქრონო.

მაგრამ საზოგადო საქმე ვერ მოეწყობა, როცა საზოგადოებრივი სარბიელი მხოლოდ მცირე ჯგუფის სამოქმედო სარბიელად შეიქმნება.

პირიქით, საზოგადო საქმე მხოლოდ მთელი საზოგადოების შეერთებული ძალით, შეიძლება, გაკეთდეს. და სწორეთ ეს მეწვრილმანური თვალთახედვა უშლის ხელს ბევრს სისწორით დააფასოს ისეთი დიდი პოლიტიკური აქტი, როგორიც არის საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მეწვრილმანეს კარჩაკეტილობის მიერ წარმოშობილი ვიწრო თვალთახედვა უშლის ხელს დაინახოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის თანმიდევნებითი შედეგები.

და განა საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიტომ არ დაჰკარგა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში თითქმის ყველა პოლიტიკურ მეწვრილმანედ გადიქცა და საერთო ეროვნული საქმისთვის აღარავინ ზრუნავდა?!

ერეკლე მეფეს მისმა ფეოდალებმავე არ უღალატეს ალამაჰმადხანის შემოსევის დროს?

და რაჭის ერისთავი, იმერეთის ფეოდალი აბაშიძე და სამეგრელოს ბატონი დადიანი არ ერჩოდენ.

იმერეთის მეფესა და არ ქმნიდენ საშინელს შინაურს არეულობას?!

შემდეგ ხომ რუსების ბატონობამ ასი წლის განმავლობაში თითქმის სრულიად ჩაჰკლა ქართველის სულში მოქალაქობრივი თავისუფლებისადმი მიდრეკილება. და ჩვენი გარუსებული წინაპრების ნატვრა ხომ ის იყო: ნეტავი ჩვენი შვილები დიდჯამაგირიანი ჩინოვნიკებად ან სამხედრო მოხელეებად შეიქნებოდნენო!.

ამ იდეალს არ გასცილებია რამდენიმე თაობის დიდი უმეტესობა მთელის ასი წლის განმავლობაში!

და ამ საშინელ დროს ყველას ვინც კი მეწვრილმანურ თვალთახედვაზე ამაღლდებოდა და საზოგადო საქმისთვის თავს შეიწუხებდა, სულელად ან შეშლილად სთვლიდნენ.

დიახ! ასი წლის მონობამ დააკნინა ქართველის სული და დაახშო მასში მოქალაქობრივი გამბედაობა.

და ახალ ცხოვრებას მოუმზადებელნი შევხვდით.

თვითეულს მხოლოდ საკუთარი ინტერესებით შემოუფარგლავს თავისი იდეალი და ცოტაა ისეთი, რომელსაც საზოგადო საქმე უფრო სწამს, ვიდრე პირადი.

მაგრამ საზოგადო საქმის წახდენამ თვითეულის პირადი საქმეც ჩაფუშა.

სამწუხაროდ ამას ვერ ხედავენ.

გაბატონებული პარტიის ზოგიერთს გულუბრყვილო წარმომადგენელს ჰგონია, ვითომ ხალხის უმეტესობა გულწრფელად ემხრობა სოციალ-დემოკრატიას.

ილლიუზიაა!

ეს რომ მართალი ყოფილიყო, სხვა პარტიებს კიდევ მეტი ეყოლებოდათ გულწრფელი მომხრე.

იმავე დროს აღარც უკიდურესი პარტიათა შორის განხეთქილება იქნებოდა!

ის, ვინც პარტიას გულ-წრფელად ემსახურება, სხვა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის არა-კეთილ-სინდისიერ საშუალების ხმარებას არ იკადრებს, ე. ი. თავის პარტიას უსამართლო საქციელით სახელს არ გაუტეხს. დაშვენებული პარტიული მუშაკი სხვის პიროვნებასა და რწმენას პატივსა სცემს.

მაშასადამე, ხალხის უმეტესობა გაბატონებულ პარტიას გულწრფელად კი არ ემხრობა, არამედ მიტომ, რომ ძალას მიჰყვება.

ხალხს, ჯერ ერთი, ხიბლავს და იზიდავს ძალა.

მეორე, ხალხს ძველითგანვე ნაანდერძევი აქვს მორიდება იმ საზოგადოებრივი ჯგუფისადმი, რომელსაც ხელში უჭირავს მართვა-გამგეობის საჭე.

ეს, შეიძლება ითქვას, შეუცნობელი გრძნობაა, სახელმწიფოებრივი დისციპლინის მიერ შექმნილი მრავალი საუკუნის განმავლობაში.

და, მესამე, ბევრი მიტომ ეწერება პარტიაში, რომ ამით თავისი პირადი საქმე გამოიწყონ.

და ყველა, ვინც კი პარტიაში ანგარიშით ეწერება, ცდილობს ზედმეტი ერთგულობა გამოიჩინოს.

და ოპპოზიციური პარტიების მდევნელნი სწორეთ ეს მატყუარები, არა გულწრფელნი, პირადი ინტერესების მაძიებელნი არიან!

დიახ! მხოლოდ ესენი სთესვენ საზოგადოებრივ განხეთქილებასა და ამზადებენ ნიადაგს სამოქალაქო ომისათვის.

იმავე დროს, როგორაც ვსთქვით, ისინი სახელს უტეხენ იმ პარტიას, რომლის წევრებადაც თავის თავსა სთვლიან.

ამავე მიზეზისა გამო ჩვენში არ არის საზოგადოებრივი აზრი.

რა არის საზოგადოებრივი აზრი?—ის აზრი, რომელიც ყველა პარტიისა და ჯგუფისთვის სარწმუნოა, საჯერო, უდავოა.

საზოგადოებრივი აზრი ეროვნული მთლიანობის აუცილებელი პირობაა.

ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ინდივიდური კეთილხნეობა, პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლება და სხ. ყველა პარტიისა და ჯგუფისთვის ერთგვარად ძვირფასი უნდა იყოს.

და ამ საერთოს, საყოველთაოს მეტი ღირებულება უნდა ჰქონდეს, ვიდრე პარტიულს, ჯგუფურს.

ჩვენში კი საერთო, ეროვნული, სხვერპლად ეწირება პარტიულს, ჯგუფურს.

საფრანგეთში წარსული საუკუნის ოთხმოცდა მეათე წლებში ემილ ზოლამ ისეთი წერილი უძღვნა ებრაელის დრეიფუსის უსამართლოდ დასჯას, რომ წერილმა ყუმბარასავით იფეთქა და მთელი საფრანგეთი შესძრა. დრეიფუსი ხელმეორედ გაასამართლეს და, რადგან სასამართლომ კვლავ მიუსაჯა სასჯელი, ამნისტიით გაათავისუფლეს.

ჩვენში კი, ცამდისაც რომ მართალი იყო, თუ გაბატონებული პარტია არ გწყალობს ყოველს ფეხის გადადგმაზე განსაცდელს უნდა მოელოდე.

გასილ წერეთელი.

(დასასრული იქნება).

მოგივათ, გარდა ზარალისა. მეორე გამოცემაშიც ხომ არ უნდა ალზეჭდოთ: Минута—„წამია“ და Секунда—„წუთით“, რაც ასე არ არის და ქართულ სიტყვათა პირდაპირ გადაჯგუფებას მოითხოვს.

წამი—ნაწარმოებია „წამწამიდან“, უმცირესი დროა და უდრის თვალის დახამხამებასა (შეად. წამწამი—ხამხამი; წამი—სალიტ., ხამი—სახალ., (უძველ.). წამი=секунда—г, мигъ—ს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ეტიმოლოგია სომხ. სიტყვისა—აკნ╳თართ. პირველი=„око“-ს მეორე—„თართ (ელ)“ კი უდრის დახამხამებას (моргать), მთელი შემადგენლობა კი—мигъ, мгновеніе, секунда—ს, ე. ი. ამსა. წუთი კი—„Минута“-ს. არევ-დარევას ამ 2 ცნებათა შეთვისებაში ხელს უწყობს, ჩვ. აზრით, დ. ჩუბინაშვილი, რომლის აზრით, Минута—წუთიცაა და წამიც, აგრეთვე Секунда... („რუს. ქართ. ლექსიკ.“, 1901). ანალოგიური შეცდომა მოუვიდა 1917 წ. ბ. იოს. ავალ—სა („მათემ. ტერმინები“, ტფ.), რაც მართლად აღნიშნა წიგნაკის რეცენზიაში—ბ. გ იმ—მა („ბიბლიოგრაფია“, „საქართვ.“, 1917 წ. ოქტომბრის ერ-ერთ №-ში).

„მიდება“, „სარტყამი“, „ხახუნი“, „უჩინ მაჩინი“,*) „მოქნგნობა“ და სხ. ეწინააღმდეგებიან ქართულ ენის ხასიათსა, დიახ ხასიათსა. ამათ ვერ შეითვისებს ჩვენი ენა ისევე, როგორც ვერ შეითვისა მან „სატუსავი“—ka- [illegible]

*) ეს ჩვენი მართლწერით, [illegible] კი ჯერ არ არის შექმნილი უჩინარი, მაჩინარი, თუმცა „გამჩენი“. უჩინ+მაჩინი—წმ. ხალხურია. „ორივე ნაწილს ერთი ფესვი აქვს: ჩ ; „უ“—უარსაყ. წინსართია. „მა“—დადებითი. თქვენ სწერთ „მეცნიერულ ენას“, განათლ., № 1, მ მდინ. წლისა, გვ. 30, ჩვენ კი „სამეცნიეროსა“ და სხ.

შ. გ.

„ცხოველთა ფიზიოლოგია“ და სხ.) დაინახავთ, რომ კოეფიციენტი, ანალიზი, სინტეზი, გალვანიზმი, ელექტროლიზი და სხ. რჩებიან უთარგმნელად. ჩვენ ვიცით, რომ ბევრს ქართველ პედაგოგს, ექიმს თუ ბუნებისმეტყველს შეუძლია საკითხისათვის მრავალი სალი აზრი გამოსთქვას და რა ჰქნას ამ სტრიქონების დამწერმა, თუ ისინი ხმას არ იღებენ. შეიძლება თქვენი რისხვის მოლოდინში.

გადაჭრით გვეუბნებით, რომ ჩვენ ლეიდენის „ქალაქობა“ არ გვცოდნია. ჩვენთვის კი ლეიდენი იყო და არის არამც თუ ქალაქი, საუნივერსიტეტო ქალაქიც, მხოლოდ თქვენ მიერ ამონაწერ სტრიქონებში გვაქვს მაგალითი იმისა, რასაც ეწოდება—„Lapsus calami“ უნდა იყოს: „ადგილი და გვარი უნდა შედიოდეს და სხ., რაც უნდა გეგულისხმათ უარეს შემთხვევაში.

თქვენ თქვენს „საზ-ბას“ უწოდებთ „ტეხნიკურს“ ხოლო ლექსიკონს—„ქიმიური სიტყვარსა“, ხმარობთ „ტეხნიკოსს“ (მეორ. სვ. წერილისა) და სხ. მრ. ამისთანა წინააღმდეგობა ნუ თუ არ არის შედეგი თქვენივე რეფორმისა?

„მიდება“, რომ არ ვარგებულიყო „ნუ თუ ჩვენ თითონ არ ამოვშლიდით ამ სიტყვას“-ო? ეს თუ ასეა მაშინ რა საჭიროა „გამოხმაურება?“ რომელიც ჩვენი მასწავლებლის თქმისა არ იყოს—„ძარღვია ამმოძრავებელი ნერვია [illegible] ამეცნიეროო შემოქმედებისა„... (აკად. ნ. ი. მარრი). ჩვენ მეინ თავს [illegible]

და ყფაროთ მთელი „საზოგ-ბის“ უდიდესი დამსახურება უკანასკნელ სტიქიურ უბედურების დროს გამოაშკარავებულ-განვითარებული და თუ „ლექსიკონის“ მეორე გამოცემაში ადგილი არ ექნება გადაჭარბებასა, ამოიშლება იქიდან „უჩინმაჩინი„ და სხ., თქვენს ამ დარგში დამსახურებასაც—ხაიხტო- [illegible]

1915 წლით, ნუ თუ ვალდებული არ იყავით ჩვენი „განათლება“, სადაც თქვენ სწერთ, მაინც ხელთ გქონოდათ (იხ. № 1, 1918 წ.). რა უწყო ოთ ამას? შეიძლება ის, რაც თქვენ უადგილოთ მოგიტანიათ უკანასკ. წერილში (სვ. ტი, 6,34), აგრამ ვიკავებთ კალამსა.

[illegible] მოწიწება სტილისადმიც, რადგანაც იგი—„ადამიანია“.

**) ასეთია ალ. ს. ხახანაშვილის მართლ წერაც. იხ. მესამე გამოცემა „ქართ. სიტყვ. ისტორიისა... 1919, გვ. 62, 22.

***) აგრეთვე „წარმოდგენას“. ამახინჯებს„...

# საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში

30 მარტს გაიმართა საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოისმინეს ქიმ. მ. შალამბერიძის მოხსენება ფხვნილი ნახშირის გამოყენების შესახებ სათბობი მასალის საკითხი ყოველთვის და მით უმეტეს ეხლა, როდესაც ომმა აუარებელი მასალა შთანთქა და ამასთანავე ქვანახშირის დამუშავების „ავაზაკურ“ საშუალებათა გამეფების გამო მადაროები ტეხნიკურად ცუდ პირობებში ჩააყენა,—მეტად მწვავე საკითხად გადაიქცა. შეიძლება ითქვას, რომ სათბობი მასალა დღეს ბევრ სახელმწიფოსთვის ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს და მთელ კულტურულ კაცობრიობას მოსვენებას არ აძლევს. მისი უზომო საჭიროებამ წამოაყენა მთელი თვისი სიგრძე-სიგანით „თეთრი ნახშირის საკითხიც, სადაც კი მისი გამოყენება ოდნავ მაინც შესაძლებელია მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელის მოგვარება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს, დიდ მოწყობილობებს და ხარჯებს მოითხოვს, „შავი ნახშირი“, როგორც ენერგიის წარმომშობი მასალა, მაინც დიდ პატივისცემაში არის. საქართველო, რომელიც მოკლებულია საკუთარ ნავთს და რომლისთვისაც მდინარეთა და ჩანჩქერთა ენერგიის გამოყენება მოკლე დროში მაინც არც ისე ადვილი საქმეა, უნდა შეეცადოს რაციონალურად მოიხმაროს ის ქვანახშირი, რომელიც ბლომად მოიპოვება ტყიბულის და ტყვარჩელის მიდამოებში, რომ ეს მადნები დიდ ღირებულებას წარმოადგენენ იქიდანაც კი სჩანს, რომ უცხო სახელმწიფოები ერთობ დაინტერესებული არიან მათი გამოყენებით

მომხსენებელი შეეხო ფხვნილ ნახშირს, რომელსაც ჩვენში მოხმარება არ აქვს. მაგრამ, ვინაიდან სათბობი მასალის საკითხი მეტად მწვავე და მნიშვნელოვანია, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა: სარაჯიშვილმა, სახელაშვილმა, კაკაბაძემ, მეძმარიაშვილმა, ბრაილოვსკიმ, კირკისალიშვილმა და სხვებმა, მსჯელობის საგანი გაფართოვდა, ის საზოგადოდ საქართველოს სათბობი მასალის უტილიზაციის საკითხად გადაიქცა და ერთ სხდომაზე ვერ ამოიწურა. რადგან სათბობი მასალის საკითხის მიზან-შეწონილად გადაჭრა და მოგვარება საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, გადაწყდა ამ საქმის შემდეგი შესწავლა და გამოკვლევა.

სხდომის გაგრძელება დანიშნულია დღეს, 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე ერივანულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩაზე № 11, რომელსაც შეუძლია დაესწრონ, როგორც ტეხნიკური საზოგადოების წევრნი, ისე ამ საკითხით ყველა დაინტერესებული პირი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

რუმბები
5 მ.—150 მ. არშინზე: იყიდება ე. დუკაის მაღაზიაში. ოლღას ქ. № 13.
3048 1—1.

ჩულქების
დიდი არჩევანი
100 მან.—650 მანეთამდე. იყიდება ე დუკაის მაღაზიაში. 3. 3059 1—4

იყიდება
28,000 მანეთად 56 ხკამი.
მისამართი: მიხეილის პროსპ. № 25 (ალექსის კუთხე) მაჩაძე. 9—4 საათ

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

მედიცინის დოქტორი
მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს სპეციალურად ვენერიულის. სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი, დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან. მისავალი ეკლესიის ქუჩის კუთხიდან.

ხვ. უიფინი

## „რუსული ღორის კანონი“

(პატარა ამბავი)

ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, ტიტო გოშარელი ლოგინიდან რომ წამოდგა და ტანისამოსის ჩაცმას მიჰყო ხელი.

გარედ ღამის წყვდიადი ნათელით ოდნავ იყო გაციაგებული, ოთახში კი ისევ ბნელოდა. სიჩუმეს როგორც გარედ ისე შიგნით არა არღვევდა რა. სოფლის ყოველ სულდგმულს დილის ტკბილი ძილით ეძინა და ნათელს ელოდა, რომ ძირი გადაეყარა, ამოძრავებულიყო, ახმაურებულიყო და დღიურ მუშაობას შესდგომოდა.

თითქოს ქმრის გამოღვიძებას ელოდაო, ტიტოსთან ერთად ლოგინიდან წამოიწია მისმა ცოლმაც სალომემ. ტანზე საჩქაროდ კაბა გადიცვა, ჭრაქი აანთო, რკინის დიდ ყუთთან მივიდა, გააღო, ამოიღო ქმრის ახალუხი, თეთრი მიტკლის პერანგი, ლანძღის წინდები, მიიტანა და ქმარს მიუყარა.

— შაგვებს რას იცვამ, აი ესენი ჩაიცვი!—ნამძინარევი, ჩახლეჩილი ხმით უთხრა ქმარს, შემდეგ ბუხართან მივიდა, ჩაცუცქდა, ნაცარი გაქექა, რამდენიმე მარცვალი ნაკვერჩხალი გამოაჩინა, თავი ერთად მოუყარა, ზედ ხმელი ნაფოტები და ჩინჩხვარი მიაყარა და ცეცხლს ბერვა დაუწყო.

ტიტომ ახალ ტანისამოსს პატარა ხანს უყურა, რომელი ჩავიცვა, ახალი თუ ძველიო, შემდეგ ალბად თავის ჭკუას ცოლის ჭკუა აჯობინა, ძველები გაიხადა და ახლები ჩაიცვა.

— ასე რომ მრთამ, ქორწილში ხომ არ მივდივარ.—მაინც შეეკითხა ცოლსა.

— ქორწილში არა, მაგრამ საცა მიდიხარ, სუფთად უნდა გეცვას. ბაზარი ადგილია, ხალხი რას იტყვის.—უპასუხა ცოლმა, გაძლიერებულ ცეცხლს ქვაბი მიუფიცხა და გარედ გავიდა.

ცოლსაცა და ქმარსაც ეტყობოდათ, რომ დღევანდელი დღე მათთვის ჩვეულებრივი სამუშაო დღე არ იყო. მეტისმეტი ჯაფისაგან გამხმარსა, დალეულ, გაშავებულ და დანაოჭებულ სახეზე ადამიანი ვერავითარ მღელვარებას ვერ შეატყობდა. გულში კი ორივე ჰღელავდა და ორივე ცდილობდა ერთის მეორისათვის ეს გულის ღელვა არ ეჩვენებინა.

ტიტომ ტანისამოსი ჩაიცვა, იქვე ბუხრის წინ ცალი ხელით პირი დაიბანა. სქელი, ჭაღარა თმა ხის სავარცხლით გადივარცხნა, საშვებზე დაბალ სკამზე დაეშვა და გაფუცხებულ ჭადს ჭამა დაუწყო.

სალომე შემოვიდა, რამდენიმე ცალი ფუჩიანი ახალი ხახვი შემოიტანა, კიდობნიდან ლობიანი პური და მარილი ამოიღო, ყველა ეს ხონჩაზე დააწყო და ქმარს წინ დაუდო.

— ლობიანი პური თან წაიღე, ვინ იცის, საღამომდინ დაგაჩერონ.—უთხრა ქმარს და შემდეგ ხმა მაღლა შესძახა:

— ადექით! აღარ ადგებით? გათენდა. საქონელსა და წვრილფეხს მოვლა უნდა.

აქა-იქ განიერსა, დაბალ ტახტის კუთხეებიდან წამოშვეს თავები ორმა უკვე გასათხოვარმა ქალმა და პატარა 14—15 წლის ბიჭმა და საჩქაროდ ჩაცმა იწყეს.

ტიტო გემოიანად ილუკმებოდა, სალომე ცეცხლს მისჩერებოდა, ორივეს თავში ერთი და იგივე ფიქრები მუშაობდა.

ბოლოს სალომემ თავი აიღო და ქმარს შეხედა.

— კაცო, „ანტუკატი“ მაინც დაგიჭირა,—სთქვა მორიდებით.

ტიტომ ცოლს იმ თვალით შეხედა, რა თვალითაც გამოიყურება ჭკვიანი კაცი, როდესაც მის წინ სისულელეს რასმე იტყვიან.

— საანტუკატო რა მაქვს? სთქვა გულმოსულმა და შემდეგ დაუმატა—„ანტუკატს“ იცი მერე, რა უნდა მისცე?

სალომესაც გული მოუვიდა.

— კაცო, იმას ერთი არშინი ენა აქვს. კანონებიც იცის, გზებიცა, შენ რა იცი? სოფელს სამ ვერსზე არ გასცილებიხარ! აი, ნახავ, თუ არ გაჯობოს!

— მაჯობოს!—წამოიძახა ტიტომ —თუ ისეთი კანონია, რომ სხვის ღორს შეუძლიან, ძირიანფესვიანად ამოგაგდოს და შენ ნება არა გაქვს, ხმა ამოიღო, დეე, მაჯობოს! მე კი მგონია ასეთი კანონი არ უნდა იყვეს

— მართალია, კაცო, მართალი!—უთხრა გულმორბილებულმა ცოლმა—მაგრამ შენ ერთი ეუჯა კაცი ხარ, მეშინიან, ისეთი არა წამოროშო რა, რომ შენვე არ გაგამტყუნონ.

აქ საწყენი არა იყო რა, რადგან ამ გვარ მოურიდებელ სიტყვებით გლეხი თავის ცოლს და ცოლი ქმარს ხშირად უმასპინძლდება, მაგრამ ტიტოს ეს სიტყვები გულზე მოხვდა, ცოლს ბოროტი თვალებით გადახედა და მკვახე ხმით დაღრიალა:

— რა უნდა წამოვროშო?! როშვა შენ იცი, მე კი არა! თუ ანგრეთი ჭკვიანი ხარ, წადი და პასუხი ჩემ მაგიერად შენ აგე.

— რა ვქნა. რა ვქნა! მეშინიან, საქმე არ წააგო და ჩვენი მტრის გულმა არ გაიხაროს ბოდიშის მოხდით მიუგო ცოლმა.

არაფერსაც არ წავაგებ! კილოს უკლო ტიტომ—ყველამ იცის, პირველ დავითხოვე, კაცები მივუგზავნე, ვეხვეწე, ვიმუდარე, არა გამივიდა რა, მეც ავიღე და ღორი მოვკალი. რა არის, მერე? კაცი ხომ არ მომიკლავს, ღორი მოვკალი!

ამ სიტყვებით ტიტო წამოდგა, ლობიანი პური წითელ ხელსახოცში გაახვია, ჩოხის ქვეშ წელზე შემოიკრა, კარებში გავიდა და სოფლის ბოლოსკენ დაეშვა.

მკათათვის დღეები იდგა თუმცა ჯერ მზე არ ჩანდა, საკმაო ნათელი იყო და სოფელს უკვე გამოეღვიძნა. სოფლის ერთ-ერთ მოედანზე ენახ-რები ნ ხარს აგროვებდნენ. აქით იქიდან მოისმოდა შინ დარჩენილ ხბორებისა და გარედ გამორეკილი ძროხების ბღავილი. სოფლის სხვა და სხვა უბნებში მოსჩანდა მინდვრისაკენ მიმავალი, მუშა ხალხი, ზოგი შებმულ, ურმით მინდვრისკენ მიეშურებოდა. ზოგს მხარზე ცულები და ორთითები გაედო და ყანის გასაცელად მხიარულად მიაბიჯებდა. არსაიდან სიო არ იძროდა. ცა მოკრიალებული იყო და, ეტყობოდა, იმ დღეს ძალზე დაცხებოდა

ტიტომ სოფლის ბოლო ჩაიარა და დიდ შარა გზას დაადგა, რომელიც დაბა №-ისკენ მიდიოდა. ნათლად გარკვეული არ ჰქონდა, სად მიდიოდა, ან რად მიდიოდა. მექანიკურად ამოძრავებულ-ამოქმედებულ მანქანასუფრო ჰგავდა, ვიდრე სულიერ არსებსა, რომელსაც ნება და გონება ამოქმედებს. აზრები თავში არეული ჰქონდა და გულში გრძნობა შეშინებული. მიდიოდა თავ ჩაღუნული და კისერს მხოლოდ მაშინ აიწევდა, როდესაც გზაზე ვინმე მიმავალი სალამს მისცემდა და ჰკითხავდა.

— ტიტო, სით?

— „სუდში“, დაბარებული ვარ!—ცოტა არ იყოს სიამაყით უპასუხებდა და თავს ისევ ღუნავდა.

მზე ამოვიდა, დაცხა ტიტომ გაიარა ერთი სოფელი, მეორე და გორაკს მიუახლოვდა, რომელიც დაბას გადასცქეროდა. ერთი საათის სიარულმა ტიტოზე კარგად იმოქმედა. დამშვიდდა, გული დაუწყნარდა და მისმა ფიქრებმა ნათელი სახე მიიღეს.

50 წელს ისე მიაღწია, რომ სასამართლოს კარები არ უნახავს. იყო მშვიდი, წყნარი მუშა, არავისას არაფერს არ ინდომებდა, არავის არ აწყენინებდა და თუ მას წაჰკლეჯავდნენ, ან აწყენინებდნენ, მართალია ახმაურდებოდა, აყვირდებოდა, მეზობლებში იჩივლებდა, მაგრამ საქმეს არც ჩხუბამდე ჰყავდა არც სასამართლ. არ მიიყვანდა. მისი ყვირილი, დაჩივლება, სჯა იყო, ასე ვსთქვათ, პრინციპიალური ხასიათისა. მართალი გული ჰქონდა და უსამართლობას ვერ იტანდა, განუვითარებელი, შეზღუდული გონება, მისი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, სიფხიზლესა, სიალესა და კრიტიკის თვისებას მოკლებული არ იყო და ვისიმე მიერ ჩადენილს უსამართლო მოქმედებასა და სულელურ სჯას თავის მაგვარს მოურიდებლად დასდებდა და მართალს პირში თქმას არ დაერიდებოდა.

იმიტომაც იყო, რომ სოფელში ტიტო სამართლიან და ჭკვიან კაცად ითვლებოდა. ხალხისთვის საკმარისი იყო, სოფლის ყრილობაზე ტიტოს მკვეთრი რიხიანი ხმა გაეგონა, რომ მთელი ყრილობა მიემხრობოდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ ტიტო სოფლის ინტერესებს არ უღალატებდა და რასაც იტყოდა, კარგად იტყოდა. ხშირად, როდესაც ყოველ-შემძლებელი პოლიციის ბოქაული შეკრებილ ხალხს ყვირილითა და გინებით იხსენიებდა და მუქარას მუქარაზე აყრიდა და წინაღმდეგის თქმას ვერავინ ვერა ჰბედავდა, ტიტო ხალხის წინ წარსდგებოდა, ქუდს მოიხდიდა და თავაზიანად, მაგრამ მედგრად და მოურიდებლად სიმართლეს პირში მიახლიდა და ბოლოს დაუმატებდა:

— საქმე ასეა, ახლა თქვენ როგორც გენებოთ, ისე მოიქეცითო.

სიცხისა და ჩქარი სიარულით ოფლში გაწურულს ტიტოს ყველა ეს აგონდებოდა და თავის თავს მეათასეჯერ ამხნევებდა:

— რა იყო, რა მოხდა? ენა რაც უნდა ჩამივარდეს. კაცი-ჭამიები ხომ არ არიან, იქაც ხალხია. ღორი მოვკალი, ბაღი ამომიგდო და მოვკალი. მა სხვა რა მექნა? „სუდიაც“ ადამიანია ჩვენზე ნასწავლი, განათლებულია, ჩვენი საქმე იმან უფრო კარგად არ უნდა იცოდეს. ოჰ, ყარამან ტყემალაძე!—იცემდა მუშტს გულში ტიტო—რაზე გამაბი ამ „ხლაფურთში“!!

სახლის წინ ტიტოს ჰქონდა პატარა ბაღი, ბატონისაგან შესყიდული „ნადელი“, სხვა საკუთრება მას არა გააჩნდა რა და ამიტომ ეს ბაღი უზომოდ უყვარდა. არას დროს, არსად არც ქირით და არც თავის საქმეზე ისეთი სიყვარულითა და ისეთი ხალისით არა მუშაობდა, როგორც ამ თავის ბაღში. მაშინ იყო ის ბედნიერი, როდესაც თავის რამდენიმე ათეულ ვაზს გასხლავდა, მიწას დაბარავდა და სარებს მიუჭობდა. უხაროდა აგრეთვე, როდესაც ბაღის ერთ კუთხეში ცარიელ ადგილზე თავის სალომეს ბოსტნეულობისათვის პატარ-პატარა კვლებს გაუკეთებდა სახლში რაც გინდა დალალული დაბრუნებულიყო, არ მოისვენებდა სანამ ბაღში არ გადაივლიდა და ყოველ ვაზს, ყოველ ხეხილს გარშემო არ შემოუვლიდა. და არ მიესიყვარულებოდა. ეს იყო მისთვის ერთად ერთი ადგილი, სადაც ის ტკბილ გრძნობებს განიცდიდა და უზომო ჯაფითა, გაჭირვებითა და უსიამოვნოებით გაჯერებული სულით ისვენებდა.

წლეულს, ახალ გაზაფხულზე ამ ბაღს შემოეჩვია აზნაური ყარამან ტყემალაძის ღორი. ასეთი წუწკი, შეხერხებული და გონიერი ღორი ტიტოს თავის სიცოცხლეში არ უნახავს. ბრალი იმისი, ვის ბაღსაც ეს ღორი შეეჩვეოდა. ჭყორის ღობე რომ შემოევლო, საკმარისი იყო მარგილსა და მარგილს შუა დინგი შეეყო, რომ წკნელს მძლავრად მისწი-მოსწევდა, თავს შეჰყოფდა და მთელი ტანით ბაღში გლეჯას გაადენდა. ერთი თვალის დახამხამებაზე რაც შესაჭმელი იყო შესჭამდა, რაც გასაფუჭებელი, გააფუჭებდა, იქაურობას გადაათხრიდა, გადააბრუნებდა და როგორც კი დაინახავდა პატრონი მოდისო მსწრაფად გავარდებოდა იმავე ადგილში და გაიქცეოდა ისე, რომ ვერც ძაღლი და ვერც ადამიანი ვერც დაეწეოდა. ვერ იქნა, ტიტომ ვერ მოასწრო რომ კეტი მაინც დაერტყა, ქვა მაინც გაერტყმია. და ამით გული მოეოხებინა. ბევრი იჩივლა, ბევრი იყვირა, ეხვეწა, ემუდარა ყარამანს, ამაშორე შენი ღორიო, ერთხელ უშველებელი რკალი გააკეთა, მივიდა ყარამანთან, მისი ნებართვით, მის ღორს კისერზე გაუკეთა, მაგრამ არა უშველა რა. ერთ დღეს ტიტომ დილიდან საღამომდინ ღორს თოფით უდარაჯა, ჰკრა, გადააგორა, აიღო და ღობეს იქით გზაზე დააგდო. ყარამანმა ღორი სახლში წაათრია, ნახევარი დაამარილა, ნახევარი სტუმრებს შეაჭამა, შემდეგ წავიდა და ტიტოს სასამართლოში უჩივლა.

— ღორი თვითონ შელანცა, ფულს მე რაში მახდევინებს?—ჰფიქრობდა სასამართლოში მიმავალი ტიტო—„სუდიამ“ ეს არ უნდა იცოდეს?

(დასასრული იქნება)